INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

საქართველოს საჯარო დაწესებულებების საინფორმაციო (ინტერნეტ) რესურსების მონიტორინგი - 2011

კვლევის ძირითადი მიზნები:

- საქართველოს საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობის ხარისხის ამაღლება;
- ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ხელშეწყობა;
- საქართველოში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება;
- საქართველოში ელექტრონული მმართველობისა და ელექტრონული გამჭვირვალობის განვითარება.

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ოფიციალური ვებ-გვერდის (www.spd.ge) საინფორმაციო გამჭვირვალობისა და ელექტრონული მმართველობის შეფასებითი მონიტორინგი

2011 წლის 9 ივნისი

ყველა უფლება დაცულია

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

ა. მაჭავარიანის ქ. №4, ბინა1. 0179. საქართველო, თბილისი.

Tel: +995322 996364.

www.idfi.ge / www.opendata.ge

info@idfi.ge

დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

www.spd.ge

<u>გამოვლენილი ძირითადი ხარვეზები და რეკომენდაციები</u>




ინფორმაციის არსებობა ვებ-გვერდზე
წარმოდგენილი ინფორმაციის ხარისხი
1. ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ
31,82%
69,43%
2. საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა
22,22%
48,75%
3. მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ
40,00%
33,50%
4. ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები
18,52%
21,20%
5. სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა
0,00%
0,00%
6. საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას
21,43%
28,67%
7. ს-დ საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები
40,00%
62,50%
8. საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა
40,00%
47,50%
9. საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)
14,29%
18,00%
0,00%
20,00%
40,00%
60,00%
80,00%

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე არ მოიძიება:

- **ზოგადი ინფორმაცია საჯარო დაწესებულების შესახებ**

1. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელობის შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის სახელი და გვარი, ფოტოსურათი, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციის აღწერა, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან თავმჯდომარეს. აგრეთვე არ მოიძიება თავმჯდომარის არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტა, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, კომპეტენციისა და საკურატორო დანაყოფების აღწერა, იმ საჯარო თანამდებობის პირზე მითითება, რომელიც კანონმდებლობის თანახმად ნიშნავს და ათავისუფლებს თანამდებობიდან თავმჯდომარეებს. აგრეთვე არ მოიძიება თავმჯდომარის მოადგილეთა არანაირი საკონტაქტო რეკვიზიტი - სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწის) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

2. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სრული სახელწოდებაა: ,,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი.“ რა სახელწოდებაც სრულად უნდა დაუყვებოდეს ვებ-გვერდს სათაურად. ვებ-გვერდს აგრეთვე არ გააჩნია ოფიციალურობის დამადასტურებელი წერილობითი აღნიშვნა.

3. არ მოიძიება ფიზიკური და იურიდიული პირების მიღების გრაფიკი, აგრეთვე დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაფუძნების თარიღიდან მოყოლებული დეტალური საქმიანობის ისტორია და მისი კომპეტენციის, საქმიანობის (მმართველობის) სფეროს, ფუნქციების, მიზნებისა და ამოცანების დეტალური აღწერა:

- **საჯარო დაწესებულების სისტემა/სტრუქტურა**

4. ვებ-გვერდზე არ არის მოცემული არანაირი ინფორმაცია დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურის სქემატური (სისტემის სტრუქტურული ხე) ან ინფორმაციული აღწერა;

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ჩამონათვალი და მათი კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სტრუქტურული ქვედანაყოფების ელექტრონული ფოსტის მისამართები და საკონტაქტო ტელეფონის ნომრები.

5. ვებ-გვერდზე თითქმის არ არის მოცემული ინფორმაცია დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფების შესახებ. კერძოდ, არ მოიძიება შემდეგი სახის ინფორმაცია:

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფების კომპეტენციის, ფუნქციების და მიზნების აღწერა;

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფების ხელმძღვანელების სახელები და გვარები, ფოტოსურათები, ვრცელი ბიოგრაფიული მონაცემები, მათი საკონტაქტო რეკვიზიტები: სამუშაო ელ.ფოსტები, მისაღების (თანაშემწეების) ტელეფონისა და ფაქსის ნომრები. აგრეთვე ტერიტორიული დანაყოფების ხელმძღვანელების კომპეტენციის აღწერა;

- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ტერიტორიული დანაყოფების საფოსტო მისამართები (საფოსტო ინდექსზე მითითებით) და შენობათა მდებარეობის აღმნიშვნელი შესაბამისი რუკები:

1. **ქ. თბილისის პირველი დპ სამმართველო**
   მისამართი: ბუდაპეშტის ქ.4
   ტელ: 877 025-460; ფაქსი: 238 68 74/75; ელ-ფოსტა: tbilisi1@spd.ge

2. **ქ. თბილისის მეორე დპ სამმართველო**
   მისამართი: წერეთლის გამზირი 136
   ტელ: 877 609-001; ფაქსი: 234 77 82; ელ-ფოსტა: tbilisi2@spd.ge

3. **კახეთის რეგიონალური დპ სამმართველო**
   მისამართი: თელავი, ჩოხელის ქ.35
   ტელ: 877 609-323; ფაქსი: (8 350) 27 14 07; ელ-ფოსტა: kakheti@spd.ge

4. **სამეგრელო-ზ/სვანეთის რეგიონალური დპ სამმართველო**
   მისამართი: ფოთი, ნ. ჟვანიას ქ.30
   ტელ: 877 609-411; ფაქსი: (8 493) 22 22 19; ელ-ფოსტა: samegrelo-zemosvaneti@spd.ge

5. **იმერეთი-გურიის რეგიონალური დპ სამმართველო**
   მისამართი: ქუთაისი, ნიკეას ქ.5
   ტელ: 877 025-003; ფაქსი: (8 431) 22 48 65; ელ-ფოსტა: imereti-guria@spd.ge

6. **აჭარის რეგიონალური დპ სამმართველო**
   მისამართი: ბათუმი, აბუსერიძის ქ.11
   ტელ: 877 025-815; ფაქსი: (888 422) 27 02 97/79; ელ-ფოსტა: adjara@spd.ge

7. **ქვ. ქართლის რეგიონალური დპ სამმართველო**
   მისამართი: რუსთავი, მშენებელთა ქ.23
   ტელ: 877 025-326; ფაქსი: 112 08 99; ელ-ფოსტა: kvemo-kartli@spd.ge

8. **შიდა ქართლის რეგიონალური დპ სამმართველო**
   მისამართი: გორი, თამარ მეფის ქ.116
   ტელ: 877 609-189; ფაქსი: (8 370) 27 46 73; ელ-ფოსტა: shida-kartli@spd.ge

9. **სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური დპ სამმართველო**
   მისამართი: ახალციხე, ნათენაძის ქ.35
   ტელ: 877 609-489; ფაქსი: (8 365) 22 00 41; ელ-ფოსტა: samtskhe-javakheti@spd.ge

10. **მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური დპ სამმართველო**
    მისამართი: მცხეთა, ღვინჯილიას ქ.5
    ტელ: 877 609-103/106; ფაქსი: 251 22 03; ელ-ფოსტა: mtskheta-mtianeti@spd.ge

- **მონაცემები საჯარო დაწესებულების საინფორმაციო რესურსების შესახებ**

6. წლიური ანგარიშის, სიახლეების, ვიდეო რგოლებისა და ფოტო გალერეის გარდა დაცვის პოლიციის ვებ-გვერდზე არ მოიძიება არანაირი სხვა მონაცემთა ბაზა (კანონმდებლობა, სტატისტიკა, პროგრამები, პროექტები, ტენდერები და ა.შ.).

7. არ მოიძიება შემოსული/გასული კორესპონდენციის რეგისტრი:



- **ძირითადი კომპეტენციის სფეროში საჯარო დაწესებულების საქმიანობის შესახებ ცნობები**

8. არ მოიძიება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელ პირთა მიმდინარე საქმიანობის შესახებ არანაირი სახის ცნობები. კერძოდ, თავმჯდომარისა და მის მოადგილეთა გამოსვლების, განცხადებების, ბრიფინგების ტექსტები; ცნობები მათი ოფიციალური/სამუშაო ვიზიტების შესახებ და ამა თუ იმ ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია.

9. საჭიროა ვებ-გვერდზე განცალკევებულად არსებობდეს ქვე-განყოფილებები ,,საერთაშორისო პარტნიორობა“ და ,,პარტნიორობა საქართველოს ორგანიზაციებთან“, სადაც მოყვანილი იქნება პარტნიორობის შესაბამისი ტექსტური ინფორმაციული აღწერა და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის პარტნიორ ორგანიზაციათა ვებ-გვერდების ბმულები.

10. არ მოიძიება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ ამა თუ იმ დარგის განვითარების გეგმების აღწერა და შესაბამისი პროგნოზები.

11. ვებ-გვერდზე არ მოიძიება ინფორმაცია იმ სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ, რომელთა დამკვეთს, შემსრულებელს ან რეალიზაციაში რაიმე სახით მონაწილე მხარეს წარმოადგენს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. აგრეთვე, არარსებობს განცალკევებული (ქვე-) განყოფილება „პროგრამები/პროექტები“:

სიახლეები

,,მე მიცავს დაცვის პოლიცია!"
2011 წლის 6 ივნისს, დაცვის პოლიციამ ჩაატარა ნახატების კონკურსი სახელწოდებით: ,,მე მიცავს დაცვის პოლიცია!"
დაწვრილებით

საჩუქარი ბავშვებს
2011 წლის 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დაცვის პოლიციის, ქ. თბილისის...
დაწვრილებით

ვიტალი დარასელიას სახელობის თასი 2011
2011 წლის 16-24 მაისს, თბილისის ვაკე-საბურთალოს პოლიციის I სამმართველოს საფეხბურთო მოედანზე...
დაწვრილებით

ტაქტიკური ტრენინგი პოლიციის აკადემიაში
2011 წლის 16-20 მაისს, შსს პოლიციის აკადემიაში, დაკავების ტექნიკური პროფესიული...
დაწვრილებით

ვაკანსია
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი...
დაწვრილებით

სტაჟირების განცხადება
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო - სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი...
დაწვრილებით

ნოდარ ქუმარიტაშვილის თასი 2011
2011 წლის 7-15 მაისს, საფეხბურთო სკოლა ,,საბურთალოს" სტადიონზე, 2010 წელს, კანადაში, ვანკუვერში...
დაწვრილებით

პოლიციელის დღისადმი მიძღვნილი აღლუმი 2011
2010 წლიდან, 6 მაისი საქართველოში პოლიციელის პროფესიულ დღედ გამოცხადდა. 2011 წელს...
დაწვრილებით

საქართველოს ფუტსალის ლიგა 2010/2011
2011 წლის 1 მაისს, საქართველოს ფუტსალის ლიგის ფარგლებში, სპორტულ კომპლექსში ,,სკა", შედგა play-off-ის მატჩი მინი-ფეხბურთში დაცვის პოლიციის ..
დაწვრილებით

დპდ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელთა ტრენინგი
2011 წლის 14 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით, დაცვის პოლიციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლებმა ტრენინგ-სემინარი...
დაწვრილებით

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი...
დაწვრილებით

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი...

- **სამართლებრივი აქტები და საჯარო დაწესებულების ნორმაშემოქმედებითი საქმიანობა**

12. ვებ-გვერდზე არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელშიც განთავსებული იქნებოდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის სფეროსთან და საქმიანობის ორგანიზაციასთან დაკავშირებული საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობის, მინისტრის და ხელმძღვანელ თანამდებობის პირთა სამართლებრივი აქტები და სამართლებრივი აქტების პროექტები. აგრეთვე სასურველია მოიძებოდეს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დებულება შესაბამის განცალკევებულ განყოფილებაში.

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის ფარგლებში მიმდინარე სახელმწიფო შესყიდვების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ ცნობები**

13. არ მოიძიება განცალკევებული (,,სიახლეების" გარეთ მყოფი) ტენდერების არქივი, აგრეთვე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა ბლოკი/განყოფილება, სადაც მოყვანილი იქნებოდა დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და ფიზიკურ/იურიდიულ პირებს შორის, აგრეთვე დაცვის პოლიციის დეპარტამენტსა და სხვა საჯარო დაწესებულებას შორის გაფორმებულ ადმინისტრაციულ (სამოქალაქო/სამართლებრივ) ხელშეკრულებათა ჩამონათვალი და პირობები:

განცხადება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აცხადებს გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერს **სხვადასხვა ქარხნული წარმოების მასალისა და მათთან დაკავშირებული საგნების** შესყიდვაზე და იწვევს ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად.

დეტალური ინფორმაცია ტენდერის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ- გვერდზე www.spa.ge.

უკან დაბრუნება

- **საჯარო დაწესებულების საკადრო უზრუნველყოფა**

14. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განცალკევებული განყოფილება „ვაკანსიები", უმეტესობა ინფორმიციისა ვაკანსიების შესახებ მოცემულია განყოფილებაში „სიახლეები". სასურველია განყოფილებაში „ვაკანსიები" არსებობდეს ერთიანი ვაკანსიების არქივი:

- **საჯარო დაწესებულების საქმიანობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ფიზიკურ და იურიდიულ პირთა უფლებების, თავისუფლებებისა და კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას**

15. ინფორმაცია დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ინფორმაციის თავისუფლებასთან / საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან საერთოდ არ არის წარმოდგენილი: ვებ-გვერდზე არ არსებობს საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული განცალკევებული განყოფილება. არ მოიძიება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურის ვინაობის (სახელი და გვარი), თანამდებობისა და საკონტაქტო რეკვიზიტების შესახებ ინფორმაცია,საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა გასაჩივრების შესახებ ცნობები და დაცვის პოლიციის დეპარტამენტში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემასა და გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის ჩამოსატვირთი ფორმები/ნიმუშები.

- **საჯარო დაწესებულების დაფინანსება და ხარჯთაღრიცხვა (ბიუჯეტი)**

16. ვებ-გვერდზე არ არის წარმოდგენილი დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ხასიათის ინფორმაცია:

- საქართველოს დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ბიუჯეტის შესრულების ბალანსისა და ბიუჯეტის ასიგნებების ხარჯვის შესახებ ზოგადი ინფორმაცია;
- არ მოიძიება საჯარო სამსახურებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და საშტატო განრიგი/დაცვის პოლიციის დეპარტამენტის კონკრეტულ საშტატო ერთეულზე გათვალისწინებული ფინანსური განაკვეთების შესახებ ინფორმაცია;
- არ მოიძიება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სრული სისტემის თანამშრომლებზე გაცემული ხელფასების, დანამატების და დარიცხული პრემიების წლიური ოდენობების შესახებ ინფორმაცია (კონკრეტულ პირთა ვინაობაზე მითითების გარეშე);
- უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები) ხარჯთაღრიცხვა;
- დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სრული სისტემის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების ჩამონათვალი და თითოეულის საბაზრო ღირებულება.

ზოგადად ვებ-გვერდი ტოვებს მომსახურებაზე ორიენტირებულ კერძო სამართლის იურიდიული პირის ვებ-გვერდის შთაბეჭდილებას.

შეფასება ვებ-გვერდის ელექტრონული კომპონენტის მიხედვით:




ვებ-გვერდის ელ-მმართველობის ხარისხი
ტექნიკური პარამეტრის არსებობა ვებ-გვერდზე
1. ნავიგაცია
66,67%
2. ძიება
0,00%
3. მარტივად აღქმის კრიტერიუმები
56,25%
4. საკონტაქტო ფორმები და წესები
50,00%
5. ვებ-კონტენტის ხელმისაწვდომობა
46,67%
6. ადაპტაცია მობილურ კავშირგაბმულობასთან WAP
0,00%
7. სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი
47,37%
8. ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან
14,29%
9. ელექტრონული ჩართულობა
16,67%
10. ელექტრონული სერვისები
16,67%
11. უნარშეზღუდული მომხმარებლებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა
0,00%
12. უსაფრთხოება
33,33%
13. დამატებითი მნიშვნელოვანი პარამეტრები
50,00%
0
0,1
0,2
0,3
0,4
0,5
0,6
0,7

- **ნავიგაცია**

მენიუზე “მაუსის” მიტანის დროს კურსორი რჩება სტანდარტულ მდგომარეობაში, არ აჩვენებს, რომ მაუსი მიტანილია და მასზე შეიძლება დაჭერა. კურსორი აუცილებლად უნდა შეიცვალოდს ბმულზე მიტანისას, რომ მომხარებელი მიხვდეს, რომ მას დაჭერის საშუალება აქვს;

- **ძიება**

საიტზე აუცილებელია იყოს მარტივი და დეტალური ძიება, რადგან ინფორმაცია საკმაოდ დიდია და საჭიროა მათი სწრაფი მოძიება;

- **მარტივად აღქმის კრიტერიუმები**

საიტი spd.gov.ge-ზე და spd.ge-ზე სხვადასხვა ნაირად გამოიყურება:



- **სინტაქსურად გამართული პროგრამული კოდი**

ბრაუზერ ოპერაში ქართული ფონტები ჩანს სხვანაირად. პრობლემა არის ის რომ Default-ად არ არის მიცემული Sylfaen-ი;

- **ინტეგრაცია სოციალურ ქსელებთან**

საჭიროა სოციალურ ქსელებთან მეტი ინტეგრაცია, სიახლეების გაზირების შესაძლებლობა, Like_ის გაკეთების შესაძლებლობა და სხვა;

- **ონლაინ სერვისები**

ელექტრონული ფორმის შევსების შემდეგ, გავაგზავნეთ განაცხადი, თუმცა გაუგებარი დარჩა გაიგზავნა თუ არა, რადგან არანაირი გზავნილი არ დაიწერა. საჭიროა ყოველი მოქმედების შემდეგ გარკვეული შედეგის დაწერა:



- **უსაფრთხოება**

ბმულზე http://92.241.89.234:8181/ სადაც ხდება ავტორიზაცია, აუცილებელია უსაფრთხოების წესების დაცვა, რაც პირველ რიგში ითვალისწინებს HTTPS პროტოკოლის მხარდაჭერას:



ვებ-გვერდზე შეგვიძლია მივაგნოთ ადმინისტრაციის გვერდს http://92.241.89.234:8181/adminlogin.asp რაც ზრდის ვებ-გვერდზე არალეგალურად შეღწევის შანსს:

- **ვებ-გვერდის ზოგადი შეფასება**

საიტზე თავმოყრილია საკმაოდ დიდი ინფორმაცია, რომლის მოძიება რთულია თუნდაც ძიების ფუნქციის არარსებობის გამო. ამავე დროს, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის არსებული ონლაინ სერვისებისა და მომსახურების გამოყენების პოტენციალი ვებ-გვერდზე გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე ეს წარმოდგენილია მოქმედ საიტზე. მთლიანობაში რჩება შთაბეჭდილება იმისა, რომ უამრავი წვრილმანი დეტალი უყურადღებოდ არის დატოვებული.